საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №27/ნ

2025 წლის 14 აგვისტო

ქ. თბილისი

„ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის არასახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა სახელმწიფო პროგრამაში შეუფერხებელი გადასვლის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს №26/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის არასახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა სახელმწიფო პროგრამაში შეუფერხებელი გადასვლის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს №26/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 01/08/2025 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 470070000.22.035.017184) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული №1 დანართს („ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის არასახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა სახელმწიფო პროგრამაში შეუფერხებელი გადასვლის წესი“) მე-3 მუხლის მე-14 პუნქტს „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა^{1}“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ა^{1}) 2025 წლის 15-22 აგვისტოს პერიოდში:

ა^{1}.ა) პაციენტის ჩართვას ახორციელებს მიმართვისა და ოპიოიდური დამოკიდებულების არასახელმწიფო ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელი იმ დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა) ან ცნობა, რომელიც მოიცავს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას) საფუძველზე, სადაც იღებდა მომსახურებას. ცნობა უნდა იყოს გაცემული არაუგვიანეს ერთი თვისა, დამოწმებული ბეჭდით და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. ასეთ შემთხვევაში, პაციენტი რეგისტრირდება მიმართვის დღესვე და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა^{1}.ბ) „ა^{1}.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობის გარეშე პაციენტის მიმართვის შემთხვევაში, პაციენტის ჩართვას ახორციელებს ნარკოლოგიურ შემოწმების გავლის საფუძველზე. პროგრამაში ჩართვა, ჩამანაცვლებელი პროდუქტი და დოზირება განიხილება სამედიცინო-საკონსულტაციო კომისიის მიერ, მიმართვის დღესვე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 15 აგვისტოდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ სარჯველაძე**